№ 19.

ᲙᲐᲖᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 19.

შაბათი, 29 მაისი 1910 წ. ᲧᲝᲚᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ წელიწადი პირველი

23 მაისს ს. ქვემო-ჭალაში გარდაიცვალა

მარიამ ზაქარია ამილახვრის ასული

ეგაძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მისი მეუღლე **დავით ალექსანდრეს ძე ეგაძე.** მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება შაბათს, 29 მაისს, სამთავისის ამილახვართა საგვარეულო სასაფლაოზედ. გამოსვენება სახლიდან 10 საათზედ. წირვის დასაწყისი 11 საათზედ. (2—296—2)

კნ. ნატალია იოსების ასული ციციშვილისა შვილებითურთ, **სოფიო იოსების ასული იოსელიანი, კნ. ანნა იოსების ასული ფავლენიშვილი** და **თავ. ვახილ იოსების ძე ფავლენიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავიანთის ძვირფასის დისწულის

მარიამ ზაქარიას ასულის ამილახვრისას.

გამოსვენება დილის 10 საათზე სახლიდგან (სოფ. ჭალაში), დაკრძალვა სამთავისის სობოროში შაბათს ამ თვის 29-ს. (1—301—1)

მარიამ ანდრიას ასული ვეფხვაძისა შვილებითურთ **და ნინო გიორგის ასული ახნაზაროვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—მეუღლის ხოლო დანარჩენნი მამის

გიორგი გიორგის ძის ვეფხვაძისას.

პანაშვიდი გარდახდილი იქნება დღეს, შაბათს, საკუთარ ბინაზე საღამოს 7 ნახ. ს. ხოლო მიცვალებულის ვვამს გაასვენებენ კვირას, 30 მაისს, დილის 9 ს., სახლიდგან (ნიკოლოზის ქ., № 12) ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და იქიდგან წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (1—302—1)

კ. ი. ზუბალაშვილის სახელ. სახალხო სახლი

ზ. ს. ს. ს. სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

შაბათს, 29 მაისს, 1910 წ.

ლ. ა. ჩერქეზიშვილის და წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

“ცხოვრების გარეშე“

ამ დროული ეპიზოდი 4 მოქმედებად, ვ. პროტოპოპოვისა, თარგმ. თ. შვილიძისა. მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ლ. ჩერქეზიშვილი, ანკარა, ე. დეკანოზიშვილი, თ. თამარაშვილი, ა. ქიქოძე. ე. ციმაკურიძე; ბ-ნნი გ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე. ნ. გდგინრიძე, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, კ. წაბანაშვილი, ნ. ჭანკვეტაძე.

დასაწყისი საღ. 8½ ს. = ბილეთ. იყიდება თეატრის კასაში საღ. 6 ს.—დან.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ანდრ. ჭიაბერაშვილი.**

მორიგი წევრი **ი. რცხილაძე.** (1—1)

ᲫᲛ. ᲖᲣᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ ᲫᲐᲚᲘ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ ᲩᲘᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ორშაბათს, 31 მაისს, 1910 წ.

ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და ბ-ნ ვ. აბაშიძის მონაწილეობით გამართავს წარმოდგენას

წარმოდგენილი იქნება:

I.

ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

კომედია 5 მოქმ., ნ. აზიანისა.

II.

ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

მონაწილ. მიიღებენ: **ქ-ნი მარიამ გიორგის ასული მუსხელაშვილისა,** ბ-ნი ელიოზოვი, გ. ჩუბინაშვილი. დაუკრავს **მიხეევა.**

III.

ᲯᲔᲠ ᲓᲐᲘᲮᲝᲪᲜᲔᲜ ᲛᲔᲠᲛᲔ ᲓᲐᲙᲝᲠᲬᲘᲚᲓᲜᲔᲜ

კომ. 2 მოქმ., რ. ერიხთავისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ე. ჩერქეზიშვილისა, ბერიძისა, ნეიბერიძისა, ციმაკურიძე; ბ-ნნი ვ. აბამიძე, ნ. კვტირიძე, მკალიბლიშვილი, იმედაშვილი, ბერიშვილი, ჭელიძე, მეტრეველი, ნეიმანი და ბებანოვი.

ანტრაკტებში დაუკრავს საზანდარი. = ადგილების ფასი 10 კ-ან 2 მ-დე.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. რეჟისორი **აბაშიძე.**

ᲫᲛ. ᲖᲣᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 2 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ 1910 ᲬᲔᲚᲡ.

Ლ. ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ და **ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ**

ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ

დრამა 4 მოქ. და 5 სურათ. ბ. ირმთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ს. ანკარა, თ. თამარაშვილი, ა. კავთელი, ე. ციმაკურიძე; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, მიშა, ს. ნარი, ს. ბებანოვი, მანჯავიძე, საღაყაია, რატიშვილი, ჭანკვეტაძე, ციბაძე.

დასაწყისი 8½ საღამოს საათზე. ბილეთების ფასი 1 მანეთიდან 10 კაპ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დილით 12—2 საათამდე საღამოთი 6—8 საათამდე. გამგე **ა. ბადრიძე.**

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

კვირას 30 მაისს გაიმართება

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

კ. ფოცხვერაშვილისა

კონცერტის დაწყებამდე ბ. კარგარეთელი წაიკითხავს რეფერატს: „მუსიკა და მისი გამოხატულება“. 1) ქართული ეროვნული სიმღერები ხოროსა და ორკესტრისათვის შემუშავებული კ. ფოცხვერაშვილის ალერ. 2) „ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან“ სიმფონიური ცოცხალ სურათებიანი ესკიზი მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა. 3) ორკესტრი შეასრულებს დავლურსა და ლეკურს ბალანჩივაძის ოპერიდან. (თამარ ცბიერი). 4) ქართული მარში იპოლიტოვ-ივანოვის სიუიტიდან „ივერია“ 5) ქართულ რომანსებს შეასრულებენ ბ. ბ. კარგარეთელი და ცხომელიძე. სიმფონიური ესკიზი. ცოცხალს სურათებს დასდგამს ბატვარი ვ. ზომმერი.

ხოროში მონაწილეობას იღებს 100 ქალი და კაცი. ორკესტრში 40 კაცი.

ბილეთების ფასი 5 კ. 80 კ.-მდე. დასაწყისი დილის 12½ საათზე.

(4—3) ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი.**

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲚᲘ

აუწყებს გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ ამა მაისის 30, დილის 12 საათისათვის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე (ბელინსკის ქ. № 2) დანიშნულია გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

კრებამ უნდა განიხილოს: 1) თავად-აზნაურთა 1909 წლის თანხების მოძრაობის ანგარიში 2) სავარაუდო აღრიცხვა 1910 წლის შემოსავალ-გასავლისა. (2—ნ.—1)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

განცხადების მომკრეფი აგენტი

მ. ა. გაᲣᲝᲜᲘᲐ

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(0—14) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

„ᲔᲓᲔᲛᲘᲡ“ ᲑᲐᲦᲘ

ვერაზე

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 30 ᲛᲐᲘᲡᲡ, 1910 ᲬᲔᲚᲡ.

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების

ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ

კნ. მ. დ. ჭავჭავაძისა გამართავს

ᲐᲠᲘᲤᲐᲜᲐ-ᲛᲐᲘᲡᲝᲑᲐᲡ.

საქმელ-სასმელების ფასი რესტორანისაზე ბევრად ნაკლებია, რადგანაც ყოველივე სანოვაგე შინაურულად არის მომზადებული.

შუადღის 12 ს.-დან, ღამის 12-მდე დაუკრავს: სამხედრო მუსიკა, საზანდარი და დუდუკი.

გამართული იქნება „ბედიერები ქანწი“, ამერიკელი ბაზარი, petide xleuelu და კონფეტები.

ერევნის მოედნიდან წასვლა შეიძლება ავტომობილებით ფასი 30 და 50 კ. ვისაც სურს წინათვე დაიკვეთოს მაგიდა, უნდა 29 მაისამდე ჩაეწეროს; 1) სამუსიკო სკოლის სადგომში, (სპიორის ქუჩა № 18): 2) ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, (გოლოვ. პროსპექტი პირველ გიმნაზიის პირდაპირ); 3) ღვინის საწყობებში „საერო“, „კახეთის მევენახეთა საზოგ.“, (თამამშვილის ქარვასლის ქვეშ); 4) „ძმობა“, (გოლ. პროსპ. დობეანსკის სახ.); 5) მასსიუს საკანდიტროში, (სასახლის ქუჩა სარაჯიშვილის სახლი) და თვით მასპინძელთან კნ. მ. დ. ჭავჭავაძის (სპიორ. ქუჩა № 26).

ბაღში შესვლის ფასი 30 კ., ყმაწვილებისათვის 15 კ. (2—293—1)

ᲐᲕᲔᲯᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

„ᲔᲚᲒᲠᲣᲡᲘ“

გაიხსნა. ოლგინის ქუჩა, № 8. ოცი ოთახი ყოველგვარი მოწყობილობით, ცივი და თბილი ვანები. ნომერის ფასი 80 კ.—3 მ. 50 კ. თვიურად ფას დაკლებით. ზრდილობიანი მოსამსახურეები; სიწმინდე და ბეჯითობა.

(3—291—2) პატივისცემით **ზენო გულიევი.**

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

30 მუდმივი სწორდით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ Ვ. Დ.: შინ. და ბაღშ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ Მ. Ა. ნეკ. და ელენ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

ᲒᲝᲠᲑᲝᲕᲡᲙᲘ-ᲖᲐᲠᲐᲜᲔᲙᲘ Ე. Ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

ᲒᲣᲠᲙᲘ Გ. Ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ᲙᲐᲠᲨᲘᲜ. Ა. Ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ Გ. Გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲔᲕᲘ Ვ. Მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ᲤᲘᲠᲐᲓᲝᲕᲘ Რ. Ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

ᲞᲐᲞᲝᲕᲘ Ვ. Ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყოველ დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ᲗᲝᲑᲝᲚᲔᲕᲡᲙᲘ Გ. Ვ. ქირურ., ყოველ-დღ. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი ლოგიური ლაბორატორი. რომელსაც ეკუთვნის ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—189)

ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

გარეგან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

Გ. ᲕᲐᲨᲐᲣᲛᲐᲫᲔ—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

Ა. Გ. ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘᲐ—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

Ნ. Მ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

Ბ. Ა. ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲘ—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

Ე. Გ. ᲤᲔᲝᲓᲝᲠᲝᲕᲘ—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წო. —ნ. —351)

ᲔᲥᲘᲛᲘ **Ე. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ**

იღებს მინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ს. ღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი გირბიჩნაია). (0—134)

ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲕᲐᲡᲘᲚ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოზე ქიქოძის სახლი. (0—უ. —192)

ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲙᲑᲘᲚᲘᲡᲐ ᲐᲚ. ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ **Ш. ᲛᲘᲫᲔᲚᲐᲫᲔ**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, ბაბგერეოვის ქუჩა N 17, პროკოფიევის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—101)

ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ Კ. Თ. ᲢᲥᲔᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

იღებს მინაგან **და სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუმტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—53

ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲙᲑᲘᲚᲘᲡᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ᲔᲥᲘᲛᲘ **Ვ. ს. ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გირეჩნის ქ., № 9. (უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ **Ვ. ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოოთით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲙᲑᲘᲚᲘᲡᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ Ნ. Ა. ᲓᲔᲛᲘᲓᲝᲕᲘ**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლეფარიტის გაკეთება, კბილის ჩახმა და პროტეზები. აბოლოვნის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—445)

ᲔᲥᲘᲛᲘ **Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ზუთმაბათოებით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ძოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ᲔᲥᲘᲛᲘ **Დ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ**

იღებს ავადმყოფებს. მინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ **ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲜᲢᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲡᲘ Მ. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—74)

ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡᲘᲡᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲑᲐᲓᲠᲘᲫᲔ**

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების **გასინჯვა** და აგრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—22

ᲨᲐᲚᲘᲔᲠᲘ

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

ᲫᲛ. ᲢᲐᲠᲜᲝᲕᲡᲙᲚᲔᲑᲘᲡ

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲤᲐᲑᲠᲘᲙᲝᲐ.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—20)

ᲖᲔᲛᲝ ᲐᲕᲭᲐᲚᲐᲨᲘ იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზვარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბალი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

ᲛᲘᲗᲮᲗᲔᲗ „ᲡᲮᲚ. ᲙᲐᲖ.“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲥᲕᲘᲠᲐᲨᲘ

ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲚᲐᲒᲐᲡ

ქირავდება შიო ჩიტაძის აგარაკი. მსურველებმა უნდა მიმართოს პეტრე სურგულაძეს, არაგვის ქუჩა, № 5. (5—ნ.—2)

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

(ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ)

„ზემშრნაში“ და „კოლოკოლში“ დაიბეჭდა პურიშკევიჩის მოწოდება „რუსის კრებულისადმი“, რომელშიაც ავტორი წინადადებას იძლევა აღძრულ იქმნას უზენაესი მთავრობის წინაშე შუამდგომლობა სათათბიროს დათხოვისა და coup d' état (ერთი დაკვრით არსებულ სახელმწ. მდგომარეობის გადაბრუნება) შესახებ. ამ გარემოების შესახებ გაზეთი „რეჩი“ შემდეგსა სწერს:

„დიახ, ჩვენ უცილობლად დიდი, ძლიერ დიდი ნაბიჯი გადავსდგით წინ. შემთხვევითი არაა ის განსხვავება, რომელსაც ვხედავთ ხულიგანების კავშირის მოქმედებაში: უწინ ის მკვლელობას მალულად სჩადიოდი. ეხლა კი აშკარად ჭქადაგებს. ეს განსხვავება იმ სახოგადო ცვლილებისაგან გამომდინარეობს, რომელიც ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში განვიცადეთ...—პურიშკევიჩის ინიციატივა თავის თავად ახალს არაფერს წარმოადგენს. ამის მსგავსი მან რამდენჯერმე მოიმოქმედა პირველი და მეორე სათათბიროს წინააღმდეგ. მაგრამ მაშინ აქაც ფარულად მოქმედებდენ. მართალია კავშირის საიდუმლოება ტომარაში დამალულ ადგისის საიდუმლობას ჰგავს, მაგრამ ერთგვარი დეკორუმის დაცვა მაინც საჭიროდ მიაჩნდათ. მაგალითად ყველას ახსოვს, რომ მეორე სათათბიროს გარეკამდე „რუსკოე ზნამიაში“ პირველ გვერდზე რამდენიმე დღის განმავლობაში რაღაც იდუმალი დიდი შავი ჯვარის გამოხატულობა იბეჭდებოდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს იყო ნიშანი, ლოზუნგი კავშირის განყოფილებათადმი რომ იმათ შუამდგომლობა აღეძრათ სათათბიროს დათხოვინ შესახებ... დრონი იცვალა. მალვა და ფარული აკლდამების თხრა აღარ ეთანხმება „შავნელი ფულების“ გამგეთა მეგობარეობას, შავი ჯვარის მაგიერ ეხლა აშკარა მოწოდებები იბეჭდება „რუსის კრებულისადმი“.

უწინ შავი ჯვარი იყო; ეხლა მის ადგილზე „შავი“ ფულებია და „ბნელი“ მოწოდებანი: ფორმა იცვლება, მაგრამ ფერი იგივე რჩება. უწინ სათათბიროს ნეკროლოგს უწერდნენ, სანამ ეს გარდაიცვლებოდა, ეხლა მას ნეტარ-არს უგალობენ, სანამ საფლავამდე მიაცილებდნენ. ესეც ერთნაირი გონება-მახვილობაა.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ

26 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობდა **აკიმოვი.** საბჭომ მიიღო რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი. იაროსლავ-რიბინსკისა და არხანგელის რკინის გზების შეერთების შესახებ კანონ-პროექტის განხილვის დროს წინადადება შეიტანა მუხლებრივ განხილვას შესდგომოდნენ. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და სურვილი გამოსთქვა, რომ მდ. ვოლგაზე გაკეთდეს ხიდი, რომლის ხარჯში მონაწილეობა უნდა მიიღონ ერობამ და ქალაქის თვითმმართველობამ.

სახალხო განათლების საჭიროებისათვის დამატებით 10 მილიონ მანეთის გადადების შესახებ მომხსენებელმა **ჩერევანსკიმ** განაცხადა, რომ კანონ-პროექტი მეტად სამწუხარო მაგალითს იძლევა, ხარჯთაღრიცხვის განხილვის წეს-რიგს მხარს უქცევსო. ორატორმა მოითხოვა სამი მილიონი გამოირიცხოს და სამინისტროს წინადადების თანახმად 7 მილიონი გადაიდოს სახალხო განათლებისათვისაო. საფინანსო კომისიის უმცირესობის მხრით ილაპარაკა **კულომზინმა,** რომელმაც დაიკვა სათათბიროს მიერ მიღებული რედაქცია კანონ-პროექტისა. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა **ვებერმა** და **იზვოლსკი მეორემაც** მხარი დაუჭირეს კულომზინის წინადადებას. **ვიტტემაც** უკანონოდ ჩასთვალა კანონ-პროექტის იმ სახით მიღება, როგორც სათათბირომ მიიღო. ფარული კენჭის ყრით საბჭომ უარჰყო საფინანსო კომისიის უმრავლესობის წინადადება სამი მილიონის გამორიცხვის შესახებ. პირველი ნაწილი მიიღეს იმ სახით, როგორც შეიმუშავა სათათბირომ, მაგრამ რადგან სხვა და სხვა შესწორებანი იქმნა შეტანილი კანონ-პროექტი ხელ-მეორედ სათათბიროს დაუბრუნდა. საბჭომ უარჰყო საფინანსო კომისიის უმრავლესობის მოხსენება სახალხო სკოლების შენობის აგებისათვის ორი მილიონ მანეთის გადადების შესახებ. ამას გარდა საბჭომ უცვლელად

მიიღო „კანონ-პროექტი იმაზე, რომ მასწავლებლების პენსიების ნაწილი უნდა დაეკისროს ხაზინასა და სხვა წვრილმანი კანონ-პროექტები. შემდეგი სხდომა დანიშნულია 28 მაისისათვის.

სახელმწიფო სათათბიროს

(ს.-პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

26 მაისის, დიდის სხდომა.

თავმჯდომარეობს თავადი **ვოლკონსკი**. რიგში ფინლანდიის კანონპროექტის მუხლებრივი განხილვა სდგას. სოციალ-დემოკრატები და შრომის ჯგუფი ზალაში არ იმყოფებიან. პირველი განყოფილების გამო **მილიუკოვი** აცხადებს, რომ კ.-დ. მუხლებრივი კითხვის დროს განაგრძნობენ კანონ-პროექტის უსაბუთობის დამტკიცებას. კომისიის ძირითადი თვალთსაზრისი, რომ კანონპროექტს არაფერი ახალი არ შემოაქვს უარყოფილია პირველივე განყოფილების პირველი სიტყვებით. მართალია, როგორც თვით ფინლიანდელებიც ადასტურებენ, ფინლიანდიური კანონები უკანასკნელნი არ არიან, მაგრამ განზრახულ ცვლილებათა წესრიგში ყოველი გონიერება და ზომიერება უარყოფილია. ეს პროექტი არ ჩაითვლება ხალხმწიფოებრივი სიბრძნის ძეგლად; ის არც რაიმე საფრთხეს წარმოადგენს თქვენი მოწინააღმდეგეებისთვის, მიტომ რომ მას არ ძალუძს სიცოცხლე (ტაში მარცხნივ). — მიღებულ იქმნა წინადადება სიტყვების 10 წუთით განსაზღვრის შესახებ.

როდიჩევი ამ უკიდურესს სიჩქარეში, რომელიც პროექტის დამცველებმა გამოიჩინეს, ჰხედავს არა მამაცთა უგუნურებას, არამედ უგუნურთა სიმამაცეს, რომელნიც 10 წუთის განმავლობაში ფინლიანდიის კონსტიტუციის განადგურებას ლამობენ.

შეჩკოვის აზრით გუშინდელი თეთრი ისტორიული ღამე სრულიადაც არ ანიჭებს სათათბიროს დამფუძნებელ ფუნქციებს: მან მხოლოდ მეფის მიერ დავალებული საქმე შეასრულა და ამით ფინლიანდიას ის უბედურება ააშორა, რომელიც მას საერთო კანონმდებლობის არევ-დარევის გამო მოელოდა (ტაში მარჯვნივ). მომხსენებელი რეზიუმს უკეთებს. კამათის პირველი განყოფილება მიღებულია მემარჯვენეთა და ცენტრის უმრავლესობით.

პირველი მუხლის გამო მილიუკოვი უთითებს იმ გარემოებას, რომ კანონ-პროექტის ეს მუხლი „ძირითად კანონების“ მეორე მუხლს ეწინააღმდეგება; ამას გარდაც ის მოკლებულია ყოველ იურიდიულ აზრს, კანონის ხასიათს და ნორმატიულ ფორმას და ამიტომ გამორიცხულ უნდა იქმნას პროექტისაგან. მომხსენებელი იცავს პროექტის რედაქციას, რომლითაც მუხლი მიღებულ იქმნა.

დასვენების შემდეგ **შიდლოვსკი** ითავმჯდომარეობს. მინისტრთა ლოჟაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სახელმწიფო კონტროლიორი სხედან—მეორე მუხლის განხილვამდე უარყვეს ოპოზიციის ორი წინადადება—მუხლის პუნქტებათ განხილვის და პუნქტების ცალკე მუხლებათ გარდაქცევის შესახებ. შემდეგ მემარჯვენეებს შეაქვთ წინადადება სიტყვების 20 წუთით განსაზღვრისა და განყოფილების მთლიანად და არა პუნქტუალურად გარჩევის შესახებ.

მილიუკოვი კ.-დ., პროგრესისტების, პოლონეთის კოლოს და მუსულმანთა ჯგუფის სახელით ამბობს, რომ იმ მეთოდის წყალობით, რომელსაც ადგია სათათ. უმრავლესობა კამათის განსაზღვრაში, ოპოზიციას აღარ ძალუძს თავისი ვალდებულების აღსრულება, სახელდობ იმის გამოა მკარავება, რომ პროექტის გაუმჯობესება შეუძლებელია და ამიტომ ის ზალაში დარჩენას უღირს თამაშობაში მონაწილეობათ სთვლის და სხდომას სტოვებს (ტაში მარჯვნივ) ოპოზიცია სტოვებს სხდომის ზალას.

ამის შემდეგ უკან მიაქვთ წინადადება კამათის 20 წუთით განსაზღვრის შესახებ. ორატორების ჩაწერა შეწყდა. ჩაწერილია 11.

კაპუსტინი წინადადებას იძლევა გამორიცხულ იქმნას ნარკვევის შემდეგი პუნქტები: სწავლის პროგრამმის და მის თვალყურის დევნაზე, საზოგადო კრებებზე, საზოგადოებათა და კავშირთა შედგენაზე და ბეჭდვითი სიტყვის კანონმდებლობაზე. ფინლიანდიური სკოლის რუსულ გემოზე გარდაქმნა გააძლიერებს შოვინისტურ სწულს, გამოიწვევს ფარულ სკოლებს და მოსწავლე ახალგაზრდობას გარყვნის. აგრეთვე კრებათა და კავშირთა შევიწროება მათ ახალგაზდურ არსებობას გამოიწვევს, ბეჭდვითი სიტყვის კონტროლი კი გააღეზიანებს და გააბოროტებს ხალხს.

კოვალევსკი ემხრობა კაპუსტინის წინადადებას, მაგრამ ამასთანავე იცავს პუნქტს ფინლიანდიაში სახელმწიფო ენის ხმარების შესახებ. მისი აზრით ფინლიანდიის სკოლა შესანიშნავადაა დაყენებული და მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: ყველაფერი რაც რუსეთს ეხება ან სულ არ ისწავლება, ან დამახინჯებულად და ტენდენციურად.

სკოროპადსკი ეწინააღმდეგება კაპუსტინის წინადადებას. **გოლოვინი** უარყოფს კაპუსტინის მოსაზრებებს და ამბობს, რომ შეუძლებელია ადმინისტრაციას კანონმდებლების ვალი დავაკისროთ. **ზამისლოვსკი** იცავს მთავრობის რედაქციას და გამოსთქვამს სურვილს, რომ ფინლიანდიის სისხლის სამართლის რეფორმა რაც შეიძლება ჩქარა განხორციელდეს და ამით ბოლო მოეღოს რუსების უუფლებობას ფინლიანდიაში.

ლერხე პროტესტს აცხადებს ნარკვევის ყველა პუნქტების საერთო განხილვის წინააღმდეგ, იმიტომ რომ შეუძლებელია ფულის საკითხის და სამხედრო სამსახურის ერთად განხილვა. **ფონ-ანრეპი** უერთდება კაპუსტინის მოსაზრებას.

კრუპენსკის აზრით აუცილებლად საჭიროა ნარკვევში იმ პუნქტის დატოვება, რომელიც ფინლიანდელი მცხოვრებთა მიერ სამხედრო ბეგარის გადახდას ეხება. მომხსენებელი იცავს კომისიის რედაქციას, რომელიც მიღებულ იქმნა ლერხეს, კაპუსტინის, ფონ-ანრეპის და ზამისლოვსკის წინადადებათა უარყოფის შემდეგ.

შემდეგ მიღებულ იქმნა მესამე მუხლი ფონ-ანრეპის შესწორებით, რომლის მიხედვით, ნარკვევის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ხელმწიფის ინიციატივით. ბოლოს უკამათოდ მიიღეს პირველი განყოფილების სხვა მუხლებიც კომისიის რედაქციით.

5 საათზე სათათბირო სწყვეტს მსჯელობას ფინლიანდიის კანონ-პროექტის შესახებ და მორიგ საკითხებზე გადადის. ოპოზიცია ზალაში ბრუნდება. მიღებულ იქმნა რამდენიმე წვრილი პროექტი.

მილიუკოვმა კადეტებისა, პროგრესისტებისა, მაჰმადიანებისა და პოლონელთა კოლოს სახელით წაიკითხა განცხადება იმის შესახებ, თუ რამ აიძულა ოპოზიცია უარ ეყო კანონ-პროექტის მუხლებრივი განხილვა.

დეპეშები

(ს.-პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 მაისი.

საზღვარ-გარედ.

ვენა. დეპუტატთა პალატა. ავსტრიის ჯარის ვერგრიაში არჩევნებზე გაგზავნის შეკითხვის გამო კამათმა პროტესტის ხასიათი მიიღო არამადიარ ეროვნებათა შევიწროვების და არჩევნების ავსტრიისათვის არა სასიამოვნო შედეგების წინააღმდეგ. ილიპარაკეს სლავიანებმა, სოციალდემოკრატებმა და ქრისტიანმა სოციალისტებმა.

ბელგრადი. მოვიდა ოსმალეთის ტახტის მემკვიდრე. მას მეფე მემკვიდრით და მინისტრებით მიეგება. ბურგომისტრმა პრინცს მოკლე სიტყვით მიმართა და პურმარილი მიართვა.

ჰაგა. საგექსილო უფლებათა გაერთიანებისათვის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადა 39 სახელმწიფომ. კონფერენცია 10 ივნისს დაიწყება.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ახალმა პრეზიდენტმა ბრისსონმა სიტყვა წარმოსთქვა და გამოსთქვა იმედი, რომ ახალ საკანონმდებლო ხანაში განხორციელებულ იქმნება სოციალური რეფორმებიო. შემდეგ ბრიანმა წაიკითხა სამინისტრო დეკლარაცია, მიუთითა არჩევნების შედეგებზედ და შეაქო დამოუკიდებლობა და ღირსება, რომელიც ხალხმა ამ ბოლო ხანში გამოკითხვის დროს გამოიჩინა. არჩევნებმა ნათლად დაამტკიცეს, რომ რესპუბლიკანულ დაწესებულებათა წინააღმდეგნი სახელმწიფოს მსახურთა შორის შფოთს და ურჩობას ავრცელებენ.

ლონდონი. გაზაფხულის ვაკაციების შემდეგ ლორდთა და საზოგადოებათა პალატა კვლავ შეიკრიბა. საზოგადოებათა პალატამ გაარჩია საზღვაო ხარჯთ აღრიცხვის რამდენიმე მუხლი. კიბინეტს არავითარი განცხადება არ შეუტანია ჯერ ჯერობით მიმდინარე მუშაობის შესახებ. ლორდთა პალატამ იქონია მსჯელობა როდის უნდა იქმნეს შეტანილი როზბერის რეზოლიუციები ზემო პალატის რეფორმის შესახებ. როზბერიმ განაცხადა, რომ თავის და მთავრობის რეზოლიუციებს შორის არავითარ კავშირს არა ხედავს „ვეტო“-ს შესახებ, მაგრამ რამე უსიამოვნების თავიდან ასაცდენად იგი ხელმეორედ შეიტანს მათ განსახილველად, როცა ამისთვის შესაფერ დროს ნახავს.

პარიზი ჩრდილოეთის ტრამვაის რკინის გზაზე დღეს არც ერთი ვაგონი არა სჩანდა.

ბერლინი. ჰელფელდის საქმის შესახებ შემდგარ სპეციალურ პალატაში ირიცხება 11 კაცი; თავმჯდომარედ დანიშნულია იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის თავმჯდომარე ლუკასი, მომხსენებლებად საზოგადო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ბრედოვი და კამერ-ჰერრიტის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიუნტერი. რუსეთის წარმომადგენელმა დინოვსკიმ სასამართლოს წარუდგინა 14 ცნობილ მეცნიერთა აზრი სამართალში მიცემის სამართლიანობის შესახებ.

სოფია. გაზეთ „დნევნიკ“-ში დაბეჭდილ წერილში სლავიანთა კრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ბობსევი ამბობს, რომ კრება ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს. მისი პროგრამა კულტურულ-ეკონომიურია. პოლიტიკურ მიზნებს იგი არ გამოეკიდებაო. ეს-ესა სოფიელ 1908 წლის პრაგის კრების გაგრძელება იქმნება და პეტერბურგის აღსასრულებელ კომიტეტის მიერ შემუშავებულ პროგრამით იხელმძღვანელებს. უსამართლოა ზოგზოგი გერმანელ და ოტომანთა წრეების უნდობლობა ამ კრებისადმი: სამხრეთის სლავიანები კარგის თვალით უყურებენ ახალ ოსმალეთს და იმედი აქვთ, რომ ოსმალეთის სლავიანური ელემენტები ისარგებლებენ შემთხვევით კულტურულ და ნაციონალურ განვითარებისათვის დემონსტრაცია და კრება არავის წინააღმდეგ არ იქნება ის სლავიანები, რომელნიც არ იღებენ მონაწილეობას კრებაში და ფიქრობენ, რომ კრებას წინ უნდა უძღოდეს რუსეთ-პოლონეთის შერიგებაო, სცდებიან, რადგან მეგობრულად შეხვედრა და ერთად ამა თუ იმ საკითხის შემუშავება არის წინამორბედი ასეთი შეთანხმება—შერიგებისაო.

ლორენცო-მარკეზი. სასეირნო ორთქლმავალი, რომელზედაც სავაჭრო დაწესებულებაში მსახურნი იჩვენენ, ინიაკის კუნძულის ახლოს ჩაიძირა. 32 კაცი დაიხრჩო.

რომი. გაზეთ „ტრიბუნას“ კალიანიდან და სარდინიიდან ატყობინებენ, რომ იქ საშინელმა ქარმა გაანადგურა მინდვრები, დახოცა ბრავალი საქონელი: არ იციან სად არიან მწყემსები. დიდი ზიანი მიაყენა სხვა და სხვა სათესოებსაცაო.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატამ დაადგინა, რომ რკინის გზების შესახებ კანონპროექტი საზოგადო პალატამ და სენატმა განიხილოს.

ბერლინი გაზეთი „ტეპიხე რუნდშაუ“-ში გრაფი პფეილი იცავს რუსეთის პოლიტიკას ფინლიანდიაში და ამბობს, რომ ფინლიანდიას უნდა ვუყურეთ ყველამ როგორც რუსეთის მტერს. ფინლიანდიის ექსპლოატაციაზე და გარუსებაზე რუსეთში არცკი არავინ ფიქრობს.

ბიოლოგიური შენიშვნები

I

ბუნების-მეტყველების ერთ უმთავრესს, უმშვენიერეს დარგს შეადგენს ბიოლოგია. ეს ის მეცნიერებაა, რომელიც მოგვითხრობს ყველაფერს იმის შესახებ, რაც კი არსებობს და სცხოვრობს, ე. ი. ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებაზე, მათ თან და თანობით განვითარებაზე და ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე. როდესაც ბიოლოგია მოგვითხრობს ცხოვრების რომელსამე მოვლენაზე, სცდილობს დაგვიხატოს, როგორც მისი საზოგადო გარეგნულისურათი, ისე შინაარსიც. ამ შემთხვევაში ის სცდილობს ახადოს ფარდა ცხოვრების საიდუმლოებას, ყოველისავე მხრით ასწონ-დასწონოს მისი გამოხატულება, შეუპირდაპიროს და მერმე შეუკავშიროს ერთი მოვლენა მეორეს და, ამ რიგად, მოგვაწოდოს ერთი რამ სრული, სწორი და ჰარმონიული.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ამგვარი საგნის გამოკვლევა მეტად ძნელი და რთული უნდა იყოს. ბუნების-მეტყველების წარმომადგენლებმა დიდი ხანია იციან ეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც არა დრკებიან, სცდილობენ დასძლიონ ყოველივე დაბრკოლება და როგორმე გააუმჯობესონ გამოკვლევის საშუალებანი. ჭეშმარიტების მისაღწევად მათ დიდ სამსახურს უწევს მიკროსკოპი. მიკროსკოპის დახმარებით იმათ ჩვენ ბევრი რამ შესანიშნავი მოგვაწოდეს. მიკროსკოპის საშუალებით თანამედროვე ბიოლოგიამ უკუ აგდო ემპირიზმი და დაადგა ექსპერიმენტის გზას.

რა შევისწავლეთ ჩვენ მიკროსკოპით? მიკროსკოპით ჩვენ გავიცანით ის პაწაწა ცხოველები, რომელთაც უწოდებენ ერთ-უჯრედიან ორგანიზმებს. მათი რიცხვი აუარებელია. მაგალითად, ერთ წვეთ დამპალს წყალში ისინი მილიონობით ითვლებიან. მიკროსკოპის საშუალებით ჩვენ გავიგეთ მათი აგებულება, გავიგეთ, რომ ისინი სცხოვრობენ, სჭამენ და ინელებენ საჭმელს, იცვლიან ნივთიერებას, იზრდებიან, მრავლდებიან, მიდიან, მოდიან, ექვემდებარებიან იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ცხოვრების კანონს. გავიგეთ, რომ ისინიც ჩვენსავით იბრძვიან თავის არსებობისათვის, იბრძვიან სიკვდილამდე თავიანთ ელემენტარულ სურვილების დაკმაყოფილებისათვის: საზრდოსათვის, ჰაერისათვის, სითბოსათვის, გამრავლებისათვის, იბრძვიან და ამ ბრძოლაში იმარჯვებენ მხოლოდ ისინი, ვინც უფრო ღონიერია და საკმაოდ შესაბამებული ცხოვრების პირობებთან. ამასთანავე გავიგეთ, თუ როგორ იცვლებიან ისინი არსებობისათვის ბრძოლის,—ბუნებით შერჩევის—და სხვა-და-სხვა გარეგნული პირობების გამო, როგორ გადასცემენ თავიანთ აგებულების განსაკუთრებულ თვისებებს შთამომავლობას.

ყველა ამის გარეშე მიკროსკოპმა ისიც გვამცნო, თუ რა აგებულებისანი არიან რთული ორგანიზმები, მიკროსკოპმა დაგვანახვა, რომ ეს ორგანიზმები იმით არიან რთულნი, რომ შესდგებიან ბევრ ერთ უჯრედიან ორგანიზმებისაგან; ბევრ უჯრედიანი ორგანიზმები წარმოადგენენ ერთ უჯრედიან ორგანიზმების გროვას, ან საზოგადოებას (სპენსერი). ეხლა ყველასაგან ცნობილია, რომ ყოველივე რთული ორგანიზმის უჯრედი ერთის მხრით სცხოვრობს თავისთვის და მეორეს მხრით ეხმარება სხვა უჯრედებსაც. უჯრედები სხვა-და-სხვა გვარისანი არიან. ერთ გვარი უჯრედები მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ერთი მეორესთან და თავიანთ განსაკუთრებულ მოვალეობას მეტად ჰარმონიულად ასრულებენ, სცხოვრობენ მეგობრულად და თანასწორ იტანენ როგორც ჭირს, ისე ლხინს; მაგალითად, ნაწლევებში სცხოვრობენ ერთგვარი უჯრედები, სახელად ჯირკლურნი, რომელნიც ამზადებენ მხოლოდ იმას, რაც საჭიროა საჭმლის მოსახარშად, სხვა ფუნქციებს ისინი არ კისრულობენ. იმათ ქვემოთ მოთავსებულნი არიან ეპიტელიის უჯრედები, რომელნიც ამუშავებენ და გზავნიან სხვა და სხვა ადგილს მხოლოდ გადახარშულ საჭმელს და მის წვენს. გულის მუსკულის უჯრედები ამოძრავებენ გულში შემოსულ სისხლს და აწვდიან სხვა და სხვა სხეულის ნაწილებს. ტვინი სავსეა ეგრედ წოდებულ კეთილშობილი უჯრედებით; ესენიც განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებენ; იღებენ სხვა და სხვა შთაბეჭდილებას, აცნობენ სხეულს, რა ხდება ირგვლივ, ამოძრავებენ იმ ორგანოებს, რომელნიც უერთდებიან მას ნერვებით, ხელმძღვანელობენ სხვა და სხვა უჯრედთ და მუშაობას, აგებინებენ ორგანიზმს სიხარულს, სიმწარეს, უუსპეტაკებენ აზრსა და გონებას და სხვა...

ამათ გარდა სხეულში ბევრი სხვა უჯრედებიცაა. ყველა ამათ თავიანთი განსაკუთრებული მიზანი აქვთ და უჭირავთ შესაფერი ადგილი. ამ რიგად მიკროსკოპი გვამცნობს, რომ ბუნებაში ადგილი ჰქონია ორგვარ ორგანიზმებს: ერთია—ერთ უჯრედიანი ორგანიზმები, მეორე—ბევრ უჯრედიანი. ერთ-უჯრედიანი ორგანიზმი სულ მარტივი აგებულებისაა, ბევრ უჯრედიანი—რთული. ბევრ უჯრედიანი ორგანიზმი შესდგება ერთ უჯრედიან ორგანიზმებისაგან. ყველა უჯრედები მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ერთი მეორესთან და დიდ სამსახურს უწევენ ცხოვრების ასპარეზზე.

თუ ეს ასეა, რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ზემო მოყვანილიდან? ის რომ, როგორც ბრიუკე გვეუბნება, უჯრედი უნდა იყოს „ელემენტარული ორგანიზმი“, ან როგორც გვიმტკიცებს ოსკარ გარტვიგი „ცხოვრების საიდუმლოება გამოხატულია მარტივ უჯრედის ცხოვრებაში“, ან როგორც—მაქს ფერვორნი—„უჯრედი დედა ბოძია ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენის“. „მუსკულის უჯრედში ჩახატულია,—ამბობს მაქს ფერკორნი,—გულის მოძრაობის და მუსკულთა შეკეცის ამოცანა, ჯირკვლის უჯრედში—გამოდინების მიზეზი, თეთრი სისხლის—საჭმლის მიღების პრობლემა და განგლიის სულის საიდუმლოება“.

აქედან სჩანს, რომ სიცოცხლე დამყარებული ყოფილა უჯრედის სიცოცხლეზედ. თუ ეს აზრი სამართლეს არ არის მოკლებული, ჩვენც ბიოლოგიური მოვლენის გასათვალისწინებლად უნდა შევისწავლოთ თვით ეს უჯრედი. უუჯრედოთ ყოვლად შეუძლებელია სიცოცხლის მოვლენის გაგება.

II

სამაგალითოდ ავიღოთ ტიპიური უჯრედი და ვნახოთ, რას წარმოადგენს ის. ტიპიური უჯრედი სულ პაწაწა მიკროსკოპიული პროტოპლაზმაა, როდესაც შიგნით უძევს ერთი ან რამდენიმე ბირთვი, გარშემო კი შემოკრული აქვს გარსი; უჯრედის უმთავრეს ნაწილად სთვლიან პროტოპლაზმას და ბირთვს; გარსი კი მაინც და მაინც საჭირო ნაწილს არ შეადგენს, რადგან ბევრი იმ გვარი უჯრედია, რომელთაც გარსი სრულიად არა აქვთ და, ამის მიუხედავად, ისინი მაინც მშვენივრად სცხოვრობენ. ამ გვარ უჯრედებს უწოდებენ სახელად ტიტველ უჯრედებს. ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენენ პროტოპლაზმა, ბირთვი? როგორია მათი აგებულება და სხვა?

ცოცხალი პროტოპლაზმა რთული სხეულია და შესდგება შემდეგი ნივთიერებისაგან. ყველა ნივთიერება განირჩევა ერთი მეორესაგან. როგორც ფიზიკურ და ქიმიურ თვისებით, ისე მოქმედებით, ე. ი. ბიოლოგიური თვისებით. იმის მიუხედავად, რომ პროტოპლაზმა რთული აგებულებისაა, მიკროსკოპში ის მაინც ერთ გვარ მასსად სჩანს, ამ მასსაში გაფანტულია მრავალი პაწაწა მარცვლები. უმეტესს შემთხვევებში ეს პაწაწა მარცვლები ჩაფანტული არიან პროტოპლაზმის სიღრმეში, კიდითი ნაწილი კი წმინდა და გამჭირვალე. გარდა ამ მარცვლებისა ზოგიერთს უჯრედებში ვნახულობთ სხვა შემადგენლობასაც. მაგალითად, ფოთლის უჯრედებში მომწყვდეულია მრავალი ხლოროფილის მარცვლები, რომელთა საშუალებით ფოთლის უჯრედი არღვევს ნახშირ მჟავს და ამზადებს სახამებელს. გარდა ამ ხლოროფილისა და სახამებლის მარცვლებისა პროტოპლაზმაში ვნახულობთ ეთერის წვეთს, მადნეულობის ნივთიერებას და სხვა... მცენარეთა და ერთ უჯრედიან ცხოველთა (ამება, ინფუზორია) პროტოპლაზმაში ხშირად პოულობენ პატარა ბუშტებს, რომელნიც სავსეა სითხით. ამ ბუშტებს ჰქვიანთ სახელად „ვაკუოლი“. ზოგ-ზოგ უჯრედებში ზოგიერთი ვაკუოლი ჰფეთქს. მფეთქავ ვაკუოლს ჰქვიან „ალვეოლი“. როგორც სწავლულები გვარწმუნებენ, ალვეოლის დანიშნულებას უნდა შეადგენდეს ნივთიერების გამოტანა უჯრედიდან. გარდა ამისა ერთ უჯრედიან ცხოველთა პროტოპლაზმაში ხშირად ხვდებიან მოუნელებელ საჭმელს, სულ პაწაწა ცხოველთა ჩონჩხს და ხვიჭეს. ზოგიერთ ინფუზორიების პროტოპლაზმაში ბუდობენ პაწაწა წყალ-ბალახები.

ყველა ზემო მოყვანილიდანაშ კარად სჩანს, რომ უჯრედის პროტოპლაზმა მართლა რთული რამ ყოფილა, ბევრს რამეს შესძლებია მოთავსება მისს სხეულში, მაგრამ ამის მიუხედავათ, მისს უსაჭიროესს ნაწილს შეადგენს მაინც პროტოპლაზმა და ბირთვი.

ახლა ვიკითხოთ ერთი როგორია ქიმიური შედგენილობა პროტოპლაზმისა? როგორია მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებანი? რა დანიშნულება აქვთ მათ ცხოვრებაში? სამწუხაროდ თანამედროვე ბიოლოგია სულ ცოტას გვეუბნება ამ კითხვებზე და თუ რასმეს გვეუბნება, ისიც ისე არეულ დარეულად, რომ ძნელია რისიმე გარკვევით გაგება. ავიღოთ, მაგალითად, სულ უბრალო პროტოპლაზმა და გავსინჯოთ ის მიკროსკოპში. პირველი შეხედვით ის გვეჩვენება სითხეთ, მაგრამ მეორეს მხრით ეს აზრი მოკლებულია სინამდვილეს. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ ის შემდგარია პაწაწა მაგარ ნაწილებისაგან (ბირთვი, ჩონჩხი, ხვიჭეჭი, მარცვლები და სხვა), მაშასადამე, როგორი სითხეა ეს? აი ამაზე არას გვეუბნება ბიოლოგია.

ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზე და ვნახოთ, რას გვეუბნებიან სწავლულნი პროტოპლაზმის ქიმიურ შედგენილებაზე და თვისებაზე: „ჩვენი ცნობანი პროტოპლაზმის ქიმიურ აგებულების შესახებ ძალიან ნაკლენნი არიან“, ამბობს ოსკარ გარტვიგი, „პროტოპლაზმა არაა ქიმიური სხეული... ის წარმოადგენს მრავალ ნივთიერებათა ნარევს... ამ ნარევში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცილიან ნივთიერებას, ცილიან ნივთიერების ქიმიური აგებულება კი ჯერ სრულიად არაა გამოკვლეული“. მეორე მეცნიერი რიხარდ გარტვიგი თითქმის ამასვე ამბობს, მისი შეხედულებით „ჩვენ ჯერ კიდევ არა ვიცით-რა, ნივთიერებაა პროტოპლაზმა, ერთი ქიმიური ნივთიერებაა ის თუ სხვა და სხვა ქიმიურ სხეულთა ნარევი? ჯერ კიდევ არ არის დამყარებული, ცილიან ნივთიერებას ეკუ-

აველინო (იტალია). გემების სასწავლო რაზმის ჯარის კაცები გაეშურნენ მიწიძვრის ადგილას დაზარალებულთა დასახმარებლად. სუფელში დაინგრა სეხლი. ნანგრევებში მოჰყვა 6 კაცი. კალიტრიაში მივიდა მეფე და დედოფალი დაესწრო დაზარალებულთა გადასარჩენად მუშაობის დროს.

რომი. მეფემ აველონაში და პოტენცაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შესწირა 50,000 ლირი.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

სოლონიკი. სამხედრო მინისტრმა შევკეთ-ფაშამ განაცხადა, რომ თვის მისსიის შესრულების გამო იგი უკან დაბრუნდება. არეულობა ჩაქრეს, მცხოვრებლებს იარაღს ართმევენ, მაგრამ ალბანიის ექსპედიცია მაინც არ დამთავრებულა: მდინარე დრინის დასავლეთით ერთი ალაგია კიდევ დასაპყრობი, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ არის კვლავ ამხედრებული. წესიერების დამყარების შემდეგ ჯარი დაიკერს მთელს ალბანიას, მპლესიასაც კი. გზების გასაყვანად გადადებულია 110,000 ოსმალური გირვანქა. სამხედრო წესები სრული მშვიდობიანობის დამყარებამდე დარჩება.

დიაკოვო. მცხოვრებლებმა კარგი იარაღი გამოაჩინეს. ჩამოართვეს 15000 თოფი, იმდენი აქვთ კიდევ 5000 თოფის ჩამორთმევისა, რექში წასულმა რაზმმა გაქცეულ ალბანელთა რამდენიმე სოფელი გადასწვა. სოფელ ვოქსის მიდამოებში დეჩანის მონასტრის ახლოს მოხდა შეტაკება. იქითკენ 15 ბატალიონი წავიდა. ორი სამთო ბატარეით. რექში შეიკრიბა 1000 ალბანელი. მათ შორის ბელადი ბოლეტინაცი, სულეიმანი და სხვებიც არიან.

სალონიკი. სამხედრო მინისტრი მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა რუსეთის გემზე წავიდა სტამბოლში. სალონიკის ვალი ათონში წავიდა, სადაც ბერძენ ბერებს ერთმანეთში შეტაკება მოუვიდათ. მოკლულია ორი ბერი, დაჭრილია—16. სოფელ რახოვიცაში ბოლგარებს და ჟანდარმებს შეტაკება მოუვიდათ. მოკლულია ერთი ბოლგარელი.

სალონიკი. ფიქრობენ, რომ მალე დაიწყება საბერძნეთის საქონლის ბოიკოტი. ბოიკოტის წინააღმდეგ მხოლოდ ებრაელი გემის პატრონები არიან. ს ზოგადო სამუშაოთა მინისტრის ბრძანებით საფოსტო დაწესებულებებს ბერძნული კორესპონდენციების მიღება აეკრძალათ.

სტამბოლი. ნავთსადგურიების მომეტებულ ნაწილში საბერძნეთის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს. „ტანინი“ კვლავ მოითხოვს საბერძნეთის ქვეშევრდომთა განდევნას.

დიაკოვო. პეტერბურგის დეპეშათა სხაგენტოს კორესპოდენტი ესაუბრა შევქეთ-თურგუთ-ფაშას. იგი ალბანიის დამშვიდებას საბოლოოდ არა სთვლის. ჯერ დასაპყრობია ისეთი ადგილები, რომელნიც ალბანიის ანარქიის ბუდეთ ითვლებიან. როგორც მაგ, რექა, მალესია, ლიუმა, დაბრის ძხარე. ამ ადგილების დასაპყრობად დიაკოვოში გამაგრდა ორი დივიზია, სპექში ერთი. ეს დივიზიები სპექის და დიაკოვოს ოლქებში მცხოვრებლების იარაღის ჩამორთმევის შემდეგ მალესიისკენ გაილაშქრებენ. სპექის დივიზია ჩერნოგორიის საზღვრით შევა მალესიის მთებში ჩრდილოეთით, დიაკოვოსი მდინარე რექით შევა მალესიის შიდა ნაწილში, სადაც, როგორც ფიქრობენ, აჯანყებულნი არიან შეჯგუფულნი თავის ბელადებით. აჯანყებულთა რიცხვი 30,000 კაცს არ აღემატება. სპექისა და დიაკოვოს ოლქებში იარაღის ჩამორთმევა დაიწყეს რუგოვიდან და რექიდან. უკვე მოქმედობენ რაზმები, რომელნიც მალესიას მიუახლოვდნენ. შევქეთ-თურგუთის იმედი აქვს, რომ ექსპედიცია მიზანს მიაღწევს და ალბანელთა ჯიუტობას ბოლოს მოუღებენ. ლიუმისკენ და დიბრისკენ ჯარი მალესიის დამშვიდების შემდეგ გაილაშქრებს. მისი სიტყვით ალბანიის დაწყნარება სავსებით შემოდგომაზე ადრე არ შეიძლება. დიაკოვოში კვლავინდებურად სამხედრო წესები სუფევს. ქალაქის კარს ჯარი იცავს. მცხოვრებლებს იარაღს ართმევენ. ჯერ ჯერობით ჩამოართვეს 3000 თოფი. ალბანელები შიშით ახლებში დაიმალნენ. 300-ზე მეტი მდიდარი ალბანელი გაიქცა, რომელთაც ჯარის მოსვლის იმედი არ ჰქონდათ. დასწვეს 17 სახლი. დაპატიმრებულ ალბანელებით სავსეა ციხე. მათ შორის 33 ჯარის უფროსია. სამხედრო სასამართლომ მოქმედება დაიწყო. რექში მცხორებლებს იარაღს ართმევენ. გაქცეულების ქონებას ანადგურებენ. მთავარი ბინა დიაკოვოში გადაიტანეს. რექში 12 ბატალიონი მოქმედებს.

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ

თეირანი. რუსის ყაზახებს ყაზვინში მიჰყავდათ დარბ-მირზა. გზაზე სპარსეთის ჯარმა შეცდომით სროლა აუტეხა. მოკლულ იქმნა ორი სპარსელი. დარბ-მირზა ყაზვინში ჩაიყვანეს.

პეტერბურგის ელჩის თანამდებობაზე დანიშნეს სამად-ხანი, სპარსეთის ელჩი პარიზში. სეპეხდარი კვლავ დაბეჯითებითა თხოულობს სამსახურიდან გადადგომას, კაბინეტის კრიზისი გრძელდება. თეირანში ძარცვა-გლეჯა ხშირდება.

თეირანი. მეჩეთში გაიმართა მრავალ-რიცხოვანი კრება სეპეხდარის მომხრეებისა. დაესწრნენ მთავარი მუშტეიდები და დიდ-ძალი ხალხი. წარმოსთქვეს ცხარე სიტყვები, ჰკიცხავდნენ დეპუტატებს, რომლებიც პირად ეგოისტურ მიზანს ემსახურებიანო. ბაგირ-ხანმა განაცხადა, ყველა უბედურების სათავეში 6—5 დეპუტატია და ისინი უნდა განიდევნოს მეჯლისიდანაო. შეიარაღებული ფიდაები აღტაცებით მიეგებნენ ბაგირ-ხანის სიტყვებს.

ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲤᲠᲔᲜᲐ.

ბუდაპეშტი. ეფიმოვი აფრინდა ვუაზენის ბიპლანით, 5 საეენის სიმაღლიდან ჩამოვარ. და დადაუშავდა თავი და ფეხი, რის გამო შემდეგ ფრენაში მონაწილეობის მიღება აღარ შეუძლიან. ექიმების შემოწმებით ეფიმოვს ტვინი შერყევია.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

კიევი. ხანგრძლივ გვალვის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთისკენ დიდი წვიმები მოვიდა. ელიან კარგ მოსავალს ღვინისა და ხილისას. წვიმები უფრო ხელს უწყობენ ჰურს. შარშანდელ მოსავლის ხორბაღისა და ფქვილს საზღვარ-გარეთ გზავნიან.

პლოცკი. ბელსკადან 12 ვერსის მანძილზე გასცარცვეს პლოცკიდან რიპინში მიმავალი ფოსტა. მცარცველებმა დახოცეს ყველა ჯარის კაცები, გაიტაცეს 55,599 მანეთი.

პეტერბურგი. შეიპყრეს წითელ სოფელში კაფტალას და განდელმანის მეარტელე აუტუზოვი მოტაცებული ფულიდან წართვეს 40,680 მან.

რადომი. სოფელ ერზუხაში დაიწვა ასზე მეტი სახლი.

პეტერბურგი. 500 მან. დააჯარიმეს გაზ. „რეჩის“ რედაქტორი „ლიტერატურული-საზოგადოებრივი საფლავების“ დაბეჭდვისათვის.

კიევი. პოლიტეხნიკუმის 45 სტუდენტი პროფესორ პისარჟევსკის ხელმძღვანელობით 31 მაისს გაემგზავრება საექსკურსიოდ ოსმალეთსა, პოლესტინასა და ეგვიპტეში.

ნიუნიტაგილი. ალაპაევის ქარხნების გაცარცვის გამო უკვე ორ დაპატიმრებულ ოსის გარდა შეიპყრეს კიდევ ორი ოსი, რომელთაგან ერთი უკვე გამოტყდა. დაპატიმრებულთ ცოტა ფული აღმოაჩნდათ. თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა 10 კაცი, რომლებმაც სროლა ასტეხეს წყლის არხიდან.

ოთხიოვე ოსი გამოტყდა ალაპაევის ქარხნების ბუხჰალტერის გაცარცვაში. ფული იპოვნეს. აკლია 3000 მანეთი.

მინსკი. იწვის ქალაქი ბარირგი. ცეცხლმა გაანადგურა 12 ათას ფუთამდე ბამბა და 2500 ფუთი სეილიზარალი დიდია.

ჰელსინგფორსი. პეტერბურგიდან გაგზავნილი ბრძანებით დაპატიმრეს ჰელსინგფორსში 8, ხოლო ვიბორგში ცხრა კაცი. დაპატიმრებულნი ფინლიანდიის მკვიდრნი არ არიან.

მინსკი. ბრისოვში ორჯელ გაჩენილი ცეცხლი ჩააქრეს. ცეცხლმა გაანადგურა ქალაქის საუკეთესო სავაჭრო ნაწილი, 450 სახლზე მეტი. მთავრობის დაწესებულებანი უვნებლად გადარჩნენ. დაიწვა კერძო პირთა შენობები. უსახლკაროდ დარჩენილნი ყაზარმებში მოათავსეს. გუბერნატორის განკარგულებით შესდგა კომიტეტი დაზარალებულთა დასახმარებლად. ზარალი დიდია. ეკვი აქვთ, რომ ქალაქს განგებ წაუკიდეს ცეცხლი. გვალვამ ხელი შეუწყო ცეცხლის გაცხოველებას.

ᲮᲝᲚᲔᲠᲐ

მინსკი. ერთ კვირის განმავლობაში რეჩიცკის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 10, გარდაიცვალა 4 კაცი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲤᲘᲚᲘᲡᲘ

სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება. 27 მაისს, კრება დაწყო დილის 11 საათზე. რამდენისამე წვრილმან საგნის გარჩევის შემდეგ კრება შეუდგა თანამდებობის პირთა არჩევნებს. ბარათებით დასახელებულ იქმნენ ბანკის თავმჯდომარის თანამდებობაზე: თავ. მ. ა. გრუზინსკი. გ. ნ. ყაზბეგი, ა. ნ. ფურცელაძე და ი. დ. აფხაზი. ორმა უკანასკნელმა კენჭის ყრაზე უარი განაცხადა. კრებამ თავ. გრ. ნ. დიასამიძის წინადადებით მადლობა გადაუხადა ა. ნ. ფურცელაძეს ბანკის სასარგებლოდ ხანგრძლივ მოღვაწეობისათვის. გამგეობის წევრის თანამდებობაზე დასახელებულ იქმნენ თავ. ფავლენიშვილი და გ. დ. ჟურული. უკანასკნელმა ყუთის დადგმაზე უარი სთქვა. დამფასებლად დასახელებულ იქმნენ: ს. ყაზახიშვილი და ბ-ნი ცხვედაძე. უკანასკნელმა უარი განააცხადა. გამგეობის წევრის კანდიდატად დასახელებულ იქმნენ თავ. ვეზირიშვილი და რიტიშვილი, ხოლო დამფასებლების კანდიდატად ს. ყიფიანი და ზაქ. ზ. მაჭავარიანი. ამის შემდეგ არჩეულ იქმნენ: ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ თავ. მ ა. გრუზინსკი (83 თეთრი, ხოლო 50 შავი), გამგეობის წევრად თავ. ფავლენიშვილი (79—53), დამფასებლად ბ-ნი რატიშვილი (127—5) და ს. ყაზახიშვილი (124—8), გამგეობის წევრის კანდიდატად. თავ. მ. ვეზირიშვილი (117—2[illegible]) დამფასებლების კანდიდატად ს. ვ. ყიფიანი (101—31) და ზაქ. ზაალ მაჭავარიანი (91—41). ამ რიგად ყველა კანდიდატები არჩეულ [illegible] და გ. ყაზბეგისა, რომელსაც 77 თეთრი, ხოლო 55 შავი კენჭი ამოუვიდა. შემდგ კრება დაადგინა თავ. გრუზინსკის დაცლილი გამგეობის წევრის ადგილი ახლად არჩეულმა კანდიდატმა თავ. ვეზირიშვილმა დაიჭიროს. ამის შემდეგ კიდევ განხილულ იქმნა რამდენიმე წვრილმანი საქმე. კრება ნაშუადღევას 3 საათზე დასრულდა.

✦ **ქართული საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოება.** 27 მაისს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის შენობაში ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით ქართულ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება მოხდა. კრებას 20 წევრი და 40-დე გარეშე პირი დაესწრო. საზოგადოების წევრთა წარსულ კრების ოქმის წაკითხვისა და მცირეოდენ ცვლილებით დამტკიცების შემდეგ კრებამ მოისმინა პრივატ-დოკენტის ივ. ჯავახიშვილის საყურადღებო მოხსენება, რომელიც შეეხება საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას XIII საუკუნეში. მოხსენებამ დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია.

✦ **ფულის გამომტყუებელი ქალი.** ტფილისის პოლიცმეისტერს ცნობა მისვლია რომ ავჭალის ქუჩაზე მცხოვრები ქალი ვინმე გედევანოვისა უადგილო ხალხს ფულებს სტყუებს და ადგილის შოვნას ჰპირდებაო. ამ საქმის გამოძიება პოლიცმეისტერს მეცხრე საპოლიციო უბნის ბოქაულისთვის მიუნდვია. ბოქაულს გამოურკვევია, რომ ეს უცნობი ყოფილა პოლკოვნიკის შვილის მეუღლე მართა მიხეილის ასული ერფორტი, გედევანოვის ქალიშვილი, რომელთანაც ბოქაულს ორი გადაცმული პოლიციელი გაუგზავნია ადგილის სათხოვნელად. გადაცმულ პოლიციელებს ერფროტი ტრამვაის, ვატმანობას დაჰპირებია და თითოსთვის გასამრჯელოდ 10 მან. მოუთხოვნია. პოლიციელებისთვის ბოქაულს მიუცია 20 მან. თან ჩუმად გაუყოლებია საპოლიციო უბნის ზედამხედველი, რომელიც სწორედ მაშინ შესულა სახლში, როდესაც ერფროტს გადაცმულ პოლიციელებისთვის ფული გამოურთმევია. ერფროტი ბევრ ნაირად ცდილა თავის გამართლებას, მაგრამ ვერა მოუხერხებია რა. დამტკიცდა, რომ ამ გვარად მას ფული ბევრ საწყალ ხალხისთვის დაუტყუვია. ერფროტს შესაფერი ოქმი შეუდგენეს, რომელიც გამომძიებელს გადაეცა.

✦ **საჩუქარი.** ტფ საათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებამ 8000 მანეთი გადასდო ამ ბანკის 35 წლის არსებობის შესრულების გამო ბანკის დაჭირავებულ მოსამსახურეთათვის დასარიგებლად.

✦ **ექკურსია.** ივნისის პირველ რიცხვებში სამეცნიერო აზრით ტფილისში ჩამოვა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა ექსკურსია, რიცხვით 33 კაცი.

✦ **საზღვარ-გარედ გამგზავრება.** გუშინ ქალაქის გამგეობის წევრი ა. მ. არღუთინსკი სამსახურის საქმეთა გამო საზღვარ-გარედ გაემგზავრა.

✦ **თავის მოწამვლა.** 26 მაისს გრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრებმა ანნა გლისჩენკომ თავის მოკვლის განზრახვით ნიშადურის სპირტი დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მისი მდგომარეობა საშიში არ არის.

✦ **სახალხო სახლი.** დღეს სახალხო სახლში ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „პიესა „ცხოვრების გარეშე“, ამ დროული ეპიზოდი.

✦ **დამფასებლების არ დამტკიცება.** როგორც გავიგეთ, ამას წინად ქალაქის გამგეობის არჩეულ დამფასებელთაგან გუბერნატორს ექვსი კაცი არ დაუმტკიცებია.

თენის ეს თუ სხვას რასმეს“. საჭიროდ ვრაცხთ აქვე აუხსნათ მკითხველს, რომ ეს ორი ადგილი შესანიშნავ მეცნიერთა ნაწერებიდან იმისთვის კი არ მოგვყავს, რომ შევბღალოთ მათი სახელი. არა, ეს დიდი თავხედობა იქნებოდა! მათი სამსახური დაუფასებელია მეცნიერების წინაშე, იმათ ბევრი რამ დიადი მოგვაწოდეს და გაგვიადვილეს მრავალ სხვა და სხვა ბუნების მოვლენათა გაგება, ისინი თავდავიწყებადე ემსახურებიან მეცნიერებას; ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმაზე, რომ საკითხი პროტოპლაზმის აგებულებაზე ერთობ რთულია და ბიოლოგიას ჯერ ვერ მოუხერხებია გადაჭრილი აზრის წარმოთქმა იმაზე.

ბიოლოგია გვასწავლის, რომ პროტოპლაზმაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ცილიან ნივთიერებას, და ამიტომ ცდილობს სხვა და სხვა ნაირად დაარღვიოს ეს ნივთიერება და შეისწავლოს მისი შედგენილება. აქ საჭიროა ვიკითხოთ, როდესაც ჩვენ ვსწავლობთ პროტოპლაზმის აგებულებას, მის შედგენილებას, როგორ ნივთიერებასთან გვაქვს საქმე, ცოცხალთან თუ მკვდართან? რასაკვირველია, მკვდართან. როდესაც ჩვენ ვმოქმედობთ პროტოპლაზმაზე ქიმიურად და ვარღვევთ მას, ჩვენ ვკლავთ თვით პროტოპლაზმას, ხოლო ცოცხალ და მკვდარ ნივთიერებათა შუა კი, როგორც ყველამ ვიცით, დიდი განსხვავება არსებობს. ამგვარი მოსაზრების შემდეგ ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ცილიან ნივთიერების შედგენილებაზე. უეჭველია ხელოვნურად დარღვეულ ნივთიერების და ცოცხალ პროტოპლაზმის ნაწილებს შუა დიდი განსხვავება უნდა იყოს: დამტვრეულ ანდრიანდს ანდრიანდს აღარ უწოდებენ. ყოველივე ცილა შესდგება მჟავბადისაგან, წყალბადისაგან, ნახშირბადისაგან, აზოტისაგან და გოგირდისაგან. ბუნებაში მრავალი ცილაა და ყველა ისინი განირჩევიან ერთი-მეორისაგან, როგორც მოლეკულური აგებულებით, ისე ატომური განაწილებით. ერთიანობა არც ერთს მათგანს არ ეტყობა და ამის გამო ჯერ-ჯერობით ძნელია იმის გამოთქმა, თუ როგორ უნდა უკავშირდებოდეს ერთი ცილა მეორეს. ამრიგად ბიოლოგია არას გვეუბნება დაბოლოვებით პროტოპლაზმის შედგენილებაზე. ის მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ცხოვრების საიდუმლოება უჯრედშია ჩასახული. უჯრედი შესდგება პროტოპლაზმიდან და ბირთვიდან და ამათი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი ცილაა. რა არის ეს ცილა დაწვრილებით ჯერ არ ვიცით.

III

მივუბრუნდეთ ისევ პროტოპლაზმას. „როგორც ელემენტები მარტივი სხეულია“, ამბობს ბრიუკე, „ისე უჯრედები ელემენტარული ორგანიზმებია. რამდენად არ შეგვიძლია დავამტკიცოთ ელემენტთა განყოფლობა, იმდენად არ ძალგვიძს უარვყოთ, რომ უჯრედიც შედგენილია სხვა კიდევ უფრო პაწაწა ორგანიზმებისაგან“. მართლაც და დიდი რთულია პროტოპლაზმა, არა ერთი მეცნიერი დაუფიქრებია მის აგებულებას, რამდენი თეორიაარ გამოუგონიათ მისს აგებულებაზე, რამდენი არ უკვლევიათ და უწერიათ მაზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, საკითხის ახსნას ერთიანობა მაინც არ ეტყობა, პირიქით ის ძლიერ არეულ-დარეულია. აი რას გვეუბნება პროფესსორი ბოროდინი ამ არევ-დარევაზე: „პროტოპლაზმის ლორწო შესდგება ძაფებისაგან“, ამბობს ერთი. „ძაფებისაგან კი არა ბადისაგან“—უსწორებს მეორე, „ბადისაგან კი არა, ქაფისაგან—“უმატებს მესამე. ყოველივე ლორწო შესდგება მარცვლისაგან“ გვიკიჟინებს მეოთხე: „გაჩუმდით, ფრთხილად იყავით“, განაგრძობს ფიზიკოსი, „თქვენ სჯით მიკროსკოპის დახმარებით, მიკროსკოპს ესაჭიროება საღი თვალი, თქვენი თვალი კი, შეიძლება, თქვენვე გატყუებდეთ“. ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ საკითხი დიდად დახლართული ყოფილა; ამის მიუხედავად მაინც შევუდგეთ იმის გარჩევას, რასაც გვასწავლიან პროტოპლაზმაზე.

პროტოპლაზმის შესწავლაში უპირველესი ადგილი უჭირავთ ფლემინგს, ფრიმანს, ბიუჩლის და ალტმანს. ყველა ამათ განსაკუთრებული შეხედულება აქვთ პროტოპლაზმის აგებულებაზე, ყველას თავისებური თეორია შეუთხზავს ამაზე. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, რომ მიკროსკოპში პროტოპლაზმა წაგავს (ანუ მიემსგავსება) გამქვირვალე ერთგვარ ჭასსას და ამ მასსაში გაფანტულია მრავალი მარცვალი. როგორც სწავლულები გვასწავლიან, ის, რაც ჩვენ | გვეჩვენება ერთ გვარ მასსათ, ერთგვარი არ ყოფილა, პირიქით ის დიდი და რთული რამ ყოფილა. ფლემინგის აზრით მრავალ უჯრედთა პროტოპლაზმა შესდგება პაწაწა წვრილ ძაფებისაგან. ძაფები სხვა და სხვა ფორმისაა, ზოგი გრძელი, ზოგი მოკლე, ზოგი წვრილი და ზოგი მსხვილი, ამასთან ყველანი გადაბმულნი არიან სხვა-და-სხვა ნაირად. ამ გვარ აგებულებაზედ ფლემინგმა შესთხზა თავისი თეორია და უწოდა მას სახელად ძაფური ან ფიბრიარული თეორია. ამ თეორიით პროტოპლაზმა შესდგება ორ გვარი ნივთიერებისაგან: ერთ გვარ ნივთიერებას შეადგენენ ძაფები, მეორეს—მათ შუა ნივთიერება. რა ეს შუა ნივთიერება—ამაზედ არას ამბობს ფლემინგი. ფრომანი და | გეიცმანიც ეთანხმებიან ფლემინგის თეორიას მხოლოდ შემდეგის განსხვავებით. იმათი შეხედულობით პროტოპლაზმა შესდგება ბადისაგან და არა ძაფებისაგან, ბადის ნაქსოვებს შუა მიმდინარეობს უჯრედის წვენი; გეიცმანის შეხედულებით მარცვლებიც ბადის კვანძებს წარმოადგენენ.

ამ ოციოდე წლის წინად ძაფურ და ბადურ თეორიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერთა შორის. ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება მიექცია ბიუჩლის და ალტმანის თეორიამ. ამ მეცნიერთ ბევრი ჰყავთ როგორც თაყვანისმცემელნი, ისე მოპირდაპირენი, მათ თეორიაზედ ბევრს სჯიან და გამოჰყავთ სხვა და სხვა დასკვნანი. მაგალითად, მაქს ფერვორნი ამტკიცებს, რომ ბიუჩლის გამოკვლევების შემდეგ არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს ალტმანის თეორიას, გუსტავ შლიატერიკი უარს ჰყოფს ბიუჩლის თეორიას. ის ამბობს: „მხოლოდ ალტმანის თეორიას შეუძლიან აგვიხსნას პროტოპლაზმის ნამდვილი აგებულება, ბიუჩლის თეორია მეტაფიზიკურია და ცალმხრივი“. განვიხილოთ თვით ეს თეორიებიც. ბიუჩლის აზრით პროტოპლაზმის აგებულება წააგავს, მიემსგავსება ქაფს; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქაფის ნაჭვრეტები ჰაერით არის სავსე და პროტოპლაზმის ქაფი კი წყლის მსგავსი სითხით. ალტმანის თეორიით უჯრედის პროტოპლაზმა შესდგება მრავალ გრნულიდან (მარცვლები). გრანულები სხვა-და-სხვა ფორმისანი არიან, ზოგი დიდი, ზოგი პატარა, ზოგი რგვალი, ზოგი მორგვალო (გრანულებს ალტმანი სხვანაირად უწოდებს ბიობლასტებს) „ბიობლასტები ცოცხალ მატერიის ნამდვილი მორფოლოგიური ერთეულია“, სწერს ალტმანი, „ისინი არიან სულ მარტივი ორგანიზმები და არა უჯრედები, რომელნიც თრულ ორგანიზმებათ ჭნდა ჩაითვალონ“.

ბუნებაში ყოველივე არსი ექვემდებარება ბიოლოგიის უდიდეს კანონს omne vivum e vivo—ყოველივე ცოხალი იბადება ცოცხალიდან. ბიობლასტებიც, როგორც ცოცხალი ორგანიზმები ექვემდებარებიან ამ კანონს, მაშასადამე ყოველივე გრანულა უნდა ჩნდებოდეს გრანულიდან, როგორც ალტმანი გვასწავლის გრანულებიან ბიობლასტები განიყოფებიან წებოს მსგავსი სითხით, მისი აზრით გრანულები ჰგვანან ბაკტერიებს, ან პაწაწა სოკოებს ე. ი. სულ პაწაწა ერთ უჯრედან მიკრასკოპიულ ორგანიზმებს. როგორც გამოუმკვლევიათ ბაკტერიები და სოკოები ხშირად ერთდებიან ზოოგლეებად, შეერთების დროს ისინი ეკვრიან ერთი მეორეს წებოს მსგავსი სითხით. ალტმანის აზრით ბიობლასტებიც ასე უერთდებიან ერთი მეორეს. როგორც ზემო მოყვანილიდან სჩანს, ელემენტარულ ორგანიზმად უნდა ჩაითვალოს ალტმანის გრანულა. ალტმანის აზრით გრანულაა თავი და ბოლო უჯრედში. გრანულაშია ჩასახული ყოველი სიცოცხლის დასაწყისი და ამ სიცოცხლის შესაგნებად უნდა შევისწავლოთ თვით გრანულა. აი ალტმანის სიტყვები: „თუ პროტოპლაზმა წარმოადგენს ბიობლასტთა კოლონიას, მაშასადამე ბიობლასტი უნდა იყოს მატერიის მორფოლოგიური ერთეული და იმაზედ უნდა დამყარდეს ყველა ბიოლოგიური მოსაზრებანი“.

ჩვენ გაკვრით მოვიხსენიეთ ოთხ სწავლულთა თეორია, დავინახეთ, რომ ყველა ისინი განირჩევიან ერთი მეორესაგან. ერთი სწავლული ამტკიცებს: პროტოპლაზმა ძაფისაგან არის შემდგარი, მეორე—ბადისაგან, მესამე—ნაჭვრეტებისაგან, მეოთხე კი გრანულისაგან. როგორც ნათქვამი აყო, თვითეულ ამ თეორიას ბევრი ჰყავს როგორც მიმდევარი, ისე მოპირდაპირე. მათ შორის ხშირია უთანხმოება, აზრის შეტაკება, მაგრამ ამით ჩვეულებრივ მკითხველს ბევრი მაინც-და-მაინც არა ემატება რა. ის განცვიფრებული რჩება და არ იცის, ვის შეუთანხმოს თავისი აზრი. ა. დ.

◆ მცირე განმარტება „ჩვენი გაზეთის“ მე-44 და 45 ნომერში მოთავსებულია შალვა დადიანის წერილი: „ქუთაისის თეატრი გასულ სეზონში“ შემდეგის შენიშვნით: „ეს წერილი აპრილის შუა რიცხვებში „დროების“ რედაქციას გავუგზავნე და ვთხოვდი, რომ მაისის პირველ რიცხვებამდე დაებეჭდათ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ასე არ მოხდა“ და სხ. ამის გამო „დროების“ ყოფილი რედაქცია გვთხოვს განვმარტოთ, რომ მას არაფერი ჰქონია ხსენებულ წერილის წინააღმდეგ; მის დაბეჭდვას კი მხოლოდ იმან შეუშალა ხელი, რომ 27 აპრილს რედაქცია გაჩხრიკეს და გაზეთის მასალასთან ერთად შ. დადიანის ხელთნაწერიც წაიღეს. მართალია თითქმის მთელი მასალა ამ ერთი კვირის წინად უკანვე დაუბრუნეს, მაგრამ შ. დადიანის წერილი უკვე დაიბეჭდა „ჩვენს გაზეთში“, სანამ ეს ერთი-მეორეში არეული მასალა გადაირჩეოდა. **რედ.**

◆ 27 მაისს მოდიცამ ქალაქის სხვა და სხვა უბანში მასიურ ჩხრეკის დროს 80 მეტი უბსსორტო შეიპყრო.

◆ 27 მაისს ტფილისში დაიდრჩო მტკვარში ბანაობის დროს ბოიჩადის მაზრის სოფ. კომარეთის მცხოვრები იობ მიხეიდის ძე ბოიჩეკი, 16 წლისა. დამდგრჩადის გვამი ვერ იპოვეს.

დიდებული მეცნიერი კოხის გარდაცვალება

15 ამ თვეს ბადენ-ბადენში გარდაიცვალა დიდებული მეცნიერი, კაკობრიობის საუკეთესო მოკვეთე რობერტ კოხი.

კოხის სიკვდილით კაკობრიობას მოაკლდა ერთი გენიოსთაგანი: თავისი გასაოცარი ნიჭით კოხმა ისეთი შესამჩნევი კვალი დასტოვა მეცნიერებაში, რომ მისი სახელი სამუდამოდ დაუვიწყარი დარჩება. მან შეჰქმნა მთელი მეცნიერება—ბაქტერიოლოგია და ამასთან დასტოვა მთელი ჯგუფი შესანიშნავ მოსწავლეებისა, რომლებიც თავისის ნიჭით ღირსნი არიან ატარონ სახელი კოხის მოსწავლისა.

კოხის ბრწყინვალე მოღვაწეობა გაგრძელდა 35 წელიწადი. 1876 წელიწადი აღნიშნულ უნდა იქმნას მედიცინის ისტორიაში; ეს ის წელიწადია, როდესაც კოხმა გამოაქვეყნა თავისი კლასიკური შრომა ციმბირის ჭირის შესახებ! ამ შესანიშნავ შრომაში პირველად იყო აღნიშნული, რომ ციმბირის ჭირის გამომწვეველი მიზეზი არის ერთგვარი ბაცილა, რომლითაც იწამლება ცხოველის სხეული, როდესაც ამ სენით არის ავათ.

ეს გამოკვლევა იმდენად ღირს საყურადღებო იყო, რომ მისი ავტორი—კოხი ეს ყველასთვის უცნობი პროვინციელი ექიმი—ერთბაშად ევროპიელი სახელგანთქმული მეცნიერი შეიქმნა.

1882 წ. კოხმა აღმოაჩინა ქლექის ბაცილა, რომელსაც სახელათ დაერქვა „კოხის ჩხირი“, რადგან იგი თავისი მოყვანილობით მიკროსკოპში პაწაწინა ჩხირს წაგავს. ამ აღმოჩენას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელ კაკობრიობისათვის: გავიგეთ რა ამ გვარად—კოხის წყალობით—რომ მიზეზი ამ საშინელ გამანადგურებელ სენისა—ქლექის ბაცილა ყოფილა, ბრძოლაც უფრო შესაძლებელი შეიქმნა მის წინააღმდეგ, ნამეტურ მაშინ, როდესაც შეისწავლეს თვისებანი ამ ბაცილისა; აღმოჩნდა, რომ „კოხის ბაცილები“ ქლექით ავათ-მყოფს ნახველთან ერთათ ამოაქვს; ხოლო ნახველი ხმება, იქცევა მტვრათ, და მტვერთან ერთათ ჰაერს „კოხის ბაცილებიც“ გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეზე. მოწამლული ჰაერი კი საღ ადამიანს ფილტვებს უწამლავს. ერთი სიტყვით ბრძოლა მტერთან ყოველთვის უფრო გვიადვილება როდესაც კარგად შესწავლილი გვაქვს მტრის თვისებანი.

1883 წ. კოხმა აღმოაჩინა ხოლერის ბაცილა, რომელიც თავისი მოყვანილობით პაწაწკინა ნიშანს მძიმეს (,) წაგავს.

ეს სამი აღმოჩენა—ტრიადა—იმდენად დიდებული რამ იყო, რომ კოხმა მსოფლიო მეცნიერის სახელი მოიხვეჭა.

როდესაც კოხის მოღვაწეობაზე ჩამოვარდება ბაასი, უსათუოდ იქ მეორე მეცნიერზე ბუმბერაზ-გენიოსზე პასტერზედაც უნდა ითქვას, რადგან ამ ორ მეცნიერთა შორის სრული დამოკიდებულებაა მეცნიერებაში. კოხის მეცნიერული მოღვაწეობა არის გაგრძელება იმისი, რაც ასე ბრწყინვალედ დაიწყო გენიოსმა პასტერმა. ძხოლოდ პასტერის გენიოსური გამოკვლევის წყალობით დამტკიცდა პირველად რომ მრავალ ავათ-მყოფობათა მიზეზი თვალით უჩინარი პაწაწკინა არსებანი—მიკრობები ყოფილან. ასეთმა აღმოჩენამ შეჰქმნა ახალი ხანა მედიცინაში და სრულებით შესცვალა წარმოდგენა სხვა და სხვა გვარ ავათ-მყოფობათა წარმოშობის შესახებ. შემდეგ კი კოხმა ნათლად ჰყო ეს და სამ საშინელ სენს აღმოუჩინა თვისი საკუთარი ბაცილები. ასე ბრწყინვალედ დაწყებული საქმე დღითი-დღე ვითარდება და დღეს ბაქტერიოლოგია ერთი უდიდესი დარგია მედიცინისა.

თავისი „ტუბერკულინით“ კოხმა აღმოაჩინა საბრძოლველი იარაღი ქლექის ბაცილების წინააღმდეგ. თუმცა თავში „ტუბერკულინმა“ ვერ გამართლა იმედები, მაგრამ ამ ბოლოს დროს როგორც სერიოზულ გამოკვლევებიდგან სჩანს, „ტუბერკულინს“ დიდი მომავალი აქვს ქლექთან ბრძოლაში. თუ რომ ეს ასაცრელი სითხე მოკლებული იყო გამაკურნავ თვისებებს ეს იმიტომ, რომ არა ჰქონდათ ჯეროვან მესწავლილი „ტუბერკულინა“ს თვისებანი, არ იცოდნენ თუ რომელ ქლექიანს და რამდენი შეეშხაპუნებინათ კან ქვეშ ეს სითხე.

ამ ბოლო წლებში აფრიკაში გაგზავნეს „ძილით ავთ-მყოფის“ გამოსაკვლევათ. ეს გამოკვლევა ბრწინვილედ დაამთავრა. აღმოჩნდა, რომ ამ საკვირველ ავთმ-მყოფობის მიზეზი, რომლითაც უფრო შავ-კანიანები ხდებიან ავათ ყოფილა ერთგვარი მიკროსკოპიულ არსება—ტრიპონოზომა, რომელიც უწამლავს ადამიანს სისხლის და ანადგურებს სისხლის წითელ ბურთულებს. ეს ავადმყოფობა გამოიხატვის იმაში რომ ადამიანი ძილად მივარდება და რამდენიმე დღის შემდეგ ძილშივე გარდაიცვლება. კოხმა ისიც აღმოაჩინა, რომ ამ ავათმყოფობას ავრცელებს ერთგვარი ბუზი—ცე—ცე—, რომელსაც ავათ-მყოფ ადამიანისგან საწამლავი გადააქვს საღზე კბენი დროს.

ვინ ჩამოსთლის თუ რამედენი აღმოაჩინა და შესძინა კიდევ მეცნიერებას კოხის გასაოცარმა და დაუღალვმა ნიჭმა!

ესეთი მძლავრი ნიჭიერი ადამიანი ჩაჰქრა და კაკობრიობას მოაკლდა თავისი მოამგე და ნუგეში!

ექიმი ბადრიძე

მოზვერიული ამბები

სოფ. საყარაულო. (თიანეთის მაზრა). აქეთ მხარეს, ეს მაისი სულ წვიმიანი მიდის. თითქმის ერთი დღე არ გასულა რომ ჭექა-ქუხილი და წვიმა არ ეფიდიეოს. ეანები მეტის წვიმით, აზოდდა-აბადახდა. უიმისოდაც აქეთ ტერტვილაა დგარძლი ხშირად იცის, და წელს ხომ მუდმივ. წვიმების წყალობით უფრო დგარძლი მოსალოდნელია. ამნაირმა ამინდებამ, უსმხვერპლოთ არ ჩაიარა: ოცდა-ორს ამ თვეს, სოფელ სუდრიონში ერთი დედაკაცი თავისი თოთხმეტი წლის ქალით და ბიჭით მინდორში ეანასა მარგალიდა. ასტეულ ერთბაშად ჭექა-ქუხილი და ბაგარდა მეხი. მეხმა საბრალო ქალი იქვე მოკლა, დედაკაცი მეხის სუნით დაბნედილი მინ ეგრმით წაიღეს ხოლო ბიჭი კი გადარჩა. მეხმავე ამ დღეს მოკლა ერთი ბიჭი სოფ. ნაქალაქარში. ამ ბიჭ ოცდა ორს დასეტეგა და გაანადგურა ეანები და ხიდეულ-ბოსტნეულობა.

ამ ათი დღის წინეთ თიანეთსაც ეწვიენენ, „ხახოდი“ რუსები ათ კაცამდენ და დაიარეს ის მამულები სადაც წინათ ბაკირი იყო. თიანელები აქამდინ ტოტა მძიმეთ იყვენ, ეურს არ იბერტყდენ, და როცა დაინახეს საქმე სახეამარად ადარ იყო, შეუდგენენ ამ მამულების მესეადგეს, რისთვისაც საჩქარად აგრეგებენ საჭირო ფულს. დმერთმა ნუ ქნას რომ ეს მამული ხელიდან წაუვიდეთ, თორემ სწორეთ სუდის შეხუ თვა იქნება თიანელების და მის ახლო-მახლო სოფლებისთვის.

თიანეთიდან დაბრუნებულმა ხახოდებმა, დაიარ-დათვალიერეს კანსვენებული თავ. ზაქარია ჭაჭანაძის მამული სიონში და დიდმელაურში. ხახოდები გადაწყვეტილ იყვენ—ესათუოდ ვეიდით ჭაჭანაძის მამულსაო. სოფ. სიონში სცხოვრობს ოცდა შვიდი და დიდმელაურში ათი კომლ. კლენი. ეს კლენები, რამდენიმე ათი და ოცი წელიწადი მაგ. ამბობდა, რამდენიც უნდა გვეხმაროთ კერძო პირთ, მაინც დიდი ხვირი არა გამოგვარა ექედანაო. საჭირო თვით ქალაქმა მოჭიდოს ბინების აგების საქმეს ხელი. ინგლისის წარმომადგენელმაც მოახსენა კონგრესს თუ რაგვარია ქალაქების მოდგაწეობა ბანების მოწეობის საქმეში, ჭუნგრეთის დედა ქალაქ ბუდაპეშტში ქალაქი და თვით მთავრობაც სცდილობენ ბინების აგებას. რამდენიმე ათასი ბინა აუკია ქალაქს თავის საშუალებით და კვლავ სცდილობს ააგოს და გაათავროოგოს თავის მოდგაწეობა ამ დარგში. ბუთი წლის შემდეგ ბუდაპეშტის სახლების 10% ქალაქისა და სახელმწიფოს კუთვნილება იქნება. ბინების საუკეთესო მოწეობას პირველი ადგილი უჭირავს ეველგან.

კრიტეს საკითხი.

ოსმალეთის მთავრობას კანზარახვა აქვს კვლავ მიმართოს სახელმწიფოებს და მოსთხოვოს, რომ რაგორმე ბოლო მოეღოს კრიტეს საკითხს. ოსმალეთის პარლამენტის კრიტელი დეპუტატები წარუდგენენ დიდ ვეზირს, რომელმაც კანუცხადა, რომ კრიტე არა ფრის გულისათვის არ შეიძლება საბერძნეთს შეეერთდესო. ოსმაოეთი შეზაოა სისხლი დაღვაროს, თუ კი საჭირო იქნება, მაგრამ დღეს-დღეობით, ეზეირის სიტეეთ, ეს საჭიროება არა სჩანს.

მაჰმადიანი დეპუტატები შეკლენ კრიტეს პარლამენტში, მონაწილეობას მიიღებენ სხდომებზედ, ო

ს არ მიიღებენ საბერძნეთის მეფის ერთგულებაზე.

18 მაისს სახელმწიფოების ელჩებმა მიიღეს კრიტეს მთავრობის პასუხი ამ ნატაზე, რომელიც ამ სამი თვის წინად წარედგინა კრიტელებს. ნოტა შეეხებოდა იმას, თუ კრიტელებს უფლება არა აქვთ წარმომადგენლები გაგზავნონ საბერძნეთის პარლამენტში. კრიტეს მთავრობამ მეტად თავდაჭერილ კილოთი მისცა პასუხი. სახელმწიფოები ეოველთვის გულკეთილობათ და მფარველობით ეპერობოდენ კრიტელებს. ახლაც უნდა ასეეე მოიქცენ, კრიტეს მცხოვრებთა სურვილს თანაგრძნობით უნდა მიეგებენენ და დაეხმარონ კრიტე საბერძნეთს შეეერთდესო.

კორეის ანექსია.

იაპონიის მთავარი გამგე კორეისა სონე სამსახურიდან გადადგა „ავადმყოფობის“ გამო. „ავადმყოფობა“ უფრო მოდიტიკური უნდა იყოს, იმის ნაცვლად დანიშნეს სამხედრო მინისტრი ტერეუჩი. რომელიც ხელმძღვანელია იაპონიის სამხედრო პარტიისა; ტერეუჩის დანიშვნა მით უფრო საეურადღებო, რომ ის სამხედრო მინისტრადაც რჩება და ამავე დროს კორეის გამგებლადაც არის. „ფრანკფ. ცეიტ.“ და ეეროპის სხვა გაზეთების აზრით ტერეუჩის დანიშვნა მოასწავებს კორეის ანექსიას, რომელიც იაპონიის მთავრობას განუზრახავს. იაპონიის მთავრობას აზრად რომა ჭქონდა კორეაში ნიჭიერი ადმინისტრატორის დანიშვნა მაშინ ტერეუჩის ნაცვლად ისეთ ადამიანს დანიშნავდა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობის წყალობის ხასათად [illegible] ემგვანებოდა. ასეთ მართველად გამოგებოდა გაზათა მინისტრი გოტი, რომელმაც თავი

ახსენდა მანჯურიასა [illegible] გუნდულ ფორმოზაზე. კორეის გამგებლად ძალიერი ადამიანი დანიშნეს. ზემოთ მოყვანილ ფაქტებიდან, რომ ეოველ მოდგენილ შემთხვევისათვის მზად იყენენ. კორეის ანექსია გადაწყვეტილია. შესაძლებელია ამ მოკლე ხანში მოვიდეს კიდეც.

უცხოეთი

საფრანგეთის პარლამენტი.

შაბმ გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტი. ბოლო არჩევნების დროს 207 ახალი დეპუტატი იქმნა არჩეული, ანარჩენები ძველებია. პალატის პრეზიდენტად, როგორც დეპუტატებიდანაც ვიცით, ისევ ბრისონი აირჩიეს. სამინისტროს პროგრამის წაიკითხვას ბრიანი შეეგმ იცან ამ პროგრამის შინაარსი. მთავრობას აზრად აქვს მოახდინოს საარჩევნო რეფორმა. ამ რეფორმაზე ჯერ ისე კარგკეულად არა დაპარაკობენ, მაგრამ მაიც აშკარაა, რომ უმცირესობის პროპორციონალურ წარმომადგენლობას შემოიღებენ. სამრჩევნო ერთეულად დეპარტამენტი იქნება ადიარებული, მხოლოდ უფრო მრავალ რიცხოვანი დეპარტამენტი გაიყოფა რამდენიმე საარჩევნო ოლქად, პატარა დეპარტამენტები კი შენრთდებიან ერთ საარჩევნო დეპარტამენტად განზარახულია დეპუტატების რეწმუნების ვადა გაადიდონ ექვს წლამდე და პალატის განახლება შემოიღონ ეოველ ორ წელიწადში ერთი მესამედის ანმოცვლით. მთავრობა თხოულობს, რომ პალატამ განიხილოს კანონ-პროექტი მოხელეების შესახებ, მთავრობა შეიტანს პალატაში ახალ კანონ პროექტს შემოსავლზე გადასახადის დაწესების შესახებ, ხოლო სახალხო განათლების საქმეში ეცდება საერო სკოლების ნიადაგის განმტკიცებას. კერძო სკოლებს მთავრობის კონტროლი დაენიშნება. მთავრობის სკოლებშიაც მთავრობას განზრახვა აქვს მშობლების კონტროლი დაწესოს, მშობლებს ეუფლებათ თავანთი წარმომადგენელნი, რომელნიც თვალყურს ადევნებენ სკოლას, თუ რა. კორ არის დაეენებული სწავლების საქმე.

საერთაშორისო კონგრესი ბინის საკითხის გამო.

ბინის საკითხი მეტად გამწვავებულია დასავლეთ ევროპაში. ქალაქების ზრდასთან ერთად ბინების სიძვირეც მეტად საგრძობლად მატულობს. ამ საკითხის გამო მოხდა კონგრესი ვენაში. ქალაქ ულმის წარმომადგენელმა მოახსენა წაიკითხა და ის აზრი დაიცვა, რომ ქალაქის თვითმართველობამ არა მარტო ხელი უნდა შეუწყოს კერძო პირთ იაფი და კარგი ბინები მოაწყონ მცხოვრებლებისათვის, ქალაქის თვითმართველობანიც უნდა აგებდნენ შენობებს და საუკეთესო ბინებს აძლევდნენ ქირით მცხოვრებლებსაო. ულმი კერმანიაში ცნობილი ქალაქია, რომელმაც შესძლო დიდი ნაბიჯის გადადგმა საცხოვრებელ ბინების გაუმჯობესების საქმეში. ულმის წარმომადგენელი ამტკიცებდა თავის მოხსენებაში, რომ ქალაქებს საშუალება აქვთ სესხი აიღონ სახელმწიფოსაგან და ესა თუ ის გადასახადი დააწესონ, ამიტომ უნდა სცდილობდენ აგონ ბინები და მშრომელ ხალხს საკი ბინები მიაქირაონ ამასთან ქალაქის შენობები ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაშორდნენ სპეკულიაციას—ბინების ფასების წარამარად მოტატებას. თუ ქალაქი თითონ ვერ აგებს ასეთ შენობებს, მაშინ ქალაქი უნდა ეხმარებოდეს საზოგადოებათა და ამხანაგობათა საამშენებლო მოდგაწეობას.

მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია. ზოგი ამდგიცებდა, რომ კერძო პირთა ინიციატიკას უნდა შეუწყოს ხელი. მეორენი პირიქით ამტკიცებდენ, რომ თუ ქალაქის თვითმართველობანი არ ჩაერევიან საქმეში, ბინის საკითხი ვერს დროს ვერ მოწესრიგდებაო. მოხ.

ქუთაისის მიხეიდის სათ.-აზნაურო საადგ[illegible] მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტ[illegible]

ამით აცხადებს, რომ ჩვეულებრივ მორიგ კრებაზე, რომელიც დ[illegible] ნიშნულია **ამა წლის 31 მაისისათვის,** მოწვეულნი არიან ბანკის [illegible] რწმუნებულნი, რომელნიც არჩეულ იქმნენ 1910 წლის თავად-აზნაურ[illegible] თა უკანასკნელ მორიგ კრებაზე

(2—ნ.—1) თავმჯდომარე კომიტეტისა **თავ. ნიუარაძე.**



ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲡᲢᲐ ᲞᲝᲡᲢᲘᲣᲛᲔᲑᲘ ᲩᲐᲘᲪᲕᲘ[illegible]

ნუ დაიშურებთ კოხტიუმების ყიდვის დროს რამდენიმე მანეთის [illegible] მატეგბას, რადგან კარგი კოხტიუმი ყოველთვის ფულს აინაზღ[illegible] რებს. ჩვე ხაუკეთესიდ მატერიისაგან კოხტიუმების შესაკერად იმ[illegible] მეტი ფასი არაა საჭირო, რაც ხშვა ცუდ და უვარგისს მატერიების კ[illegible] ხტიუმის შესაკერად. საკახტიუმე მატერიებში ეჭლა მოდაძია „**ᲨᲔᲕᲘᲠᲝᲢ ᲙᲝᲚᲔᲜᲘ**“. იაფ-ფასებში რეკომენდ 6 მსნ. 25 კ. და საუკეთეს[illegible] დირსებისა 7 მ. 50 კ., ნაჭერი 4 ნახევ. არშინ. ამ ამ კაკეტის მთელი კ[illegible] ტიუმისათვის, მატერია არაფრით განირჩევა ისეთისაგან, რომელ[illegible] ზეთი-ექვსი მანეთი ღირს და ყველა იგივე თვისება აქვს, სანელდ[illegible] უმაღლესი ხიმვეიდრე, ხილაზათე და მოზდენილობა. უკანასკნელ[illegible] მოდის ფერები: მავისა და მუქილურჯისა. იგზავნება ფოსტით [illegible] დადებით, უგირავდ. **თუ საქონელი არ მოგეწონებათ, ფულს უ[illegible] დაგიბრუნებთ.** გაგზავნა ხაფოსტე ტარიფის მიხედვით. ოთხი [illegible] ზედ-მეტი ნაჭერის გამოწერის დროს, თვითეულ ნაჭერთან გამოიგზავნება ხარ[illegible] ლის ნაჭერი.

Адресъ: Экспортн. домъ Т-ва „Альпага“, Варшава, отд. 12.

გთხოვთ ადრესი ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კუნვერტს ან დია ბარათს[illegible]

Метцль и К-о, N 33816. (4—ნ.—[illegible])

● სეზონაციონური ამგავი ●

200 მანეთიან ოქროს საათების მაგიერ ჩვენ ვურჩევთ [illegible] ძვირფს საათები, „**სეცესია**“, რომელნიც ხილამაზით და [illegible] ხელნით ოქროს საათებს არ ჩამოუფრჩებიან. საათები [illegible] ტად თხელებია, ვერცხლის მანეთიანის ხიბლე, ანგრ[illegible] ახალ ოქროსი, არას დროს არ ეკარგებათ ფერი, **სანდ[illegible]** ვებს ჩაბეჭდილი აქვს „**ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ**“ (იხ. ნახ.). „**ᲡᲔᲪᲔᲡᲘᲐ**“ საათები განთქმული არიან თავის სიხწორით და გარ[illegible] ნულ ხიმშვენიერით, მუშაობს ქვებზე, დაქოქა ყოველ [illegible] საათში ერთხელ. ფასი 3 მ. 75 კ. 2 საათი 7 მ. ასეთივე [illegible] ლის საათები 4 მ. 75 კ. უფასოდ ეთმობათ მმვენიერი [illegible] თის მეწკვი ანალი ოქროსი, ბრილიანტი და საათის [illegible] დით. საათები იგზავნება გასწორებული წუთითი-წუთამ[illegible] სწორი. იგზავნება ფასდადებით და უბეოთაც. ექვსი წლის პასუხის-მგებლობა **თუ საათი არ მოეწონებათ, ფულს უკან ვაბრუნებთ.**

გაგზავნა ოქრი ცალისა 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

Адресъ: Экспортн. домъ И. Штрумфельдъ, Варшава, Св. Крест 48, отд. 12.

ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კუნვერტზე ან დია ბარათზ[illegible]

(Метцль и К-о N 33876. (4—ნ.—[illegible])

ᲔᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲢᲘᲡ ᲐᲖᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲐᲠᲙᲐ

„ᲛᲤᲔᲠᲐᲕᲘ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲡᲘ“

ᲐᲠᲪ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲒᲠᲐᲛᲤᲝᲜᲘ

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. 9, ტელეფ. № 69.



ᲛᲝᲓᲒᲕᲐᲠᲝᲕᲔᲑᲐ ᲗᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝ ᲑᲠᲘᲕᲘ.	ᲠᲣᲡᲣᲚᲘ.
კვესაძე, კარგარეთელი, ტომაშე.	ფ. ი. შალიაპინი.
ვიჩი (ქართველი) გ. ბაგრატ,	ლ. ვ. სობინოვი.
	დ. ა. სმირნოვი.
	ვ. ბ. დამაევი.
ნიკოლი, კომიტას ვარდა ბ.	ნ. ვ. გრიზუნოვი.
	ლ. ვ. ნეჟდანოვი.
საძე, მადჯიდ-ბეგბუტოვი, ჯაბარი,	მ. ა. მიხაილოვი.
	ნ. ს. ერმოლენკო-იუჟინსა.
ვკორიაგ დიევ მა'ზადი მამედ-ფარ-	ვ. ნ. პეტროვ-ზვანცევი.
ზალიევ, ამირჯან და ბევრი სხვა.	ე. ი. ზბრუევი და ბევრი სხვ'ა

ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ 65 ᲙᲐ�პ. ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲕᲘᲠᲘ.

ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ 35 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲕᲘᲠᲘ.

აქც. საზოგ. „გრამაფონის“ გაკეთებული აპპარატები და სხვა. შეიძლება იყიდოთ აგრეთვე **გ. ს. დავიდოვთან,** (სერგიევის ქუჩა სოლოლაკი № 1).

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

Акц. Общ. ГРАММОФОНЪ

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ. (2—2)